№ წიგნ. 10903

ფასი
კერძო პირთათვის 15 კაპეიკი.
სახელმწიფო დაწესებულ. 10 კაპ.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ფელიეტონი მესამე

მოამბე

შაბათი, 9 ივნისი. 1923 წ.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისა.

№ 52 ყოველ კვირეული ორგანო. № 52

ჟურნალ „მოამბე"-ს რედაქციისაგან.

ყველა ხელის მომწერთა, სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებათა და კერძო ორგანიზაციების საყურადღებოდ რედაქცია აცხადებს, რომ

ჟურნალი უფასოდ არაგის გაეგზავნება.

ყველა ხელის მომწერი ვალდებულია გადაისადოს მათზე დარჩენილი ხელის მოწერის ფასი. წინააღმდეგ შემთხვევაში **მოესპობათ ჟურნალის გზავნა.**

ყოველგვარი განცხადების ფასი: სტრიქონი—30.000 მანეთი.

დოკუმენტების დაკარგვის შესახებ დასაგეჭდი განცხადებების ფასი 100.000 მანეთი.

ჟურნალში მოსათავსებელი განცხადება დაიბეჭდება მხოლოდ ფულის შემოტანის შემდეგ.

რედაქცია ღიაა დილის 9 ს. 3 საათამდე კვირა-უქმეების გარდა.

რედაქციის მისამართი

შინ. საქ. სახ. კომისარიატის ბინა: ევანგულოვის ქ. № 1. (ყოფ.—კადეტთა კორპუსის შენობა) ტელეფონი № 8—59.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოფიციალური გაზეთი

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრ. კომიტეტი.

დადგენილება.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერ-კავკასიის სოც ფედერ. საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

1923 წ. მაისის 12

მაგარი სასმელის წარმოებისა და გაყიდვისა და თამბაქოს ნაკეთობისა და ფოთოლ-თამბაქოს ვაჭრობის საპატენტო გადასახადის რაოდენობის შესახებ.

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭოთა რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1923 წლის თებერვლის 10 თარიღითა და მე-7 №-რით გამოცემული დადგენილების 8, 23, 30 და 36 მუხ. დასამტკიცებლად—ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაწესებულ იქნეს ქვემოდ აღნიშნული სანახევარწლო განაკვეთი საპატენტო გადასახადისა ქარხნებში და სავაჭროებში მაგარი სასმელების წარმოების და გაყიდვისათვის და თამბაქოს ნაკეთობისა და ფოთოლ-თამბაქოს ვაჭრობისათვის.

ა. მაგარი სასმელების წარმოებისა და ბითუმად გაყიდვისათვის.

ვაჭრობის სახე	ზ ო ლ ე ბ ი				
	უმაღლესი	საშუალზე მაღალი	საშუალო	საშუალზე დაბალი	დაბალი
	ამიერ-კავკასიის ფულის ნიშნის მანეთი (ათასობით)				
ქ ა რ ხ ა ნ ე ბ ი:					
სარეკტიფიკაციო.					
ა) ძირითადი 500.000°-დე	10.000	6.000	4.000	3 000	2.000
ბ) დამატებითი—თვითეულ შემდგომ 500.000°-ზე.	2.000	2.000	2.000	2.000	2.000
პურეულისაგან არაყეულის გამომხდელი.					
ა) ძირითადი 500.000°-დე	20.000	20.000	20.000	20.000	20.000
ბ) დამატებითი—თვითეულ შემდგომ 500.000°-ზე.	4.000	4.000	4.000	4.000	4.000
ს ა კ ო ნ ი ა კ ო.					
ხილეულ-ყურძნეულისაგან გამოხდილი					
ა) საკონტროლო იარაღიანი	4.800	4.800	4.800	4.800	4.800
ბ) ნორმეული	1.000	1.000	1.000	1.000	1.000
არაყისა	8.000	4.800	3.200	2.400	1.600

შენიშვნა: 500.0 0°-ზე ნაკლები გამოხდილი და რეკტიფიკაცია ქმნილი სპირტი 200.00°-სად ჩაითვლება.

საბითუმო სიწყობები:					
1. პურეულისა და ყურძნეულ ხილეულის სპირტისა.	20 000	16.000	12.000	8.000	4.000
2. საკონიაკო სპირტისა და კონიაკისა	10.000	6.000	4.000	2.000	—
3. ყურძნის ღვინისა	10.000	7.000	6.000	5.000	4.000
4. ლუდისა	6.000	5.000	4,000	3.000	2.000

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ. მაგარი სასმელების ცალობითი ვაჭრობისათვის.

ა. ვაჭრობა გამოტანით და არა ადგილობრივ დალევით.					
1. მაგარი სასმელების სარდაფი	20.000	16.000	12.900	8.000	4.000
2. ღვინის სარდაფი	16.000	12.000	8.000	6.000	—
3. ღვინის დუქანი	8.000	8.000	8.000	8.000	—
ბ. ვაჭრობა ადგილობრივ დალევით.					
1. რესტორანი (სასადილო) და სარკინიგზო ბუფეტი	40.000	30.000	24.000	16.000	12.000
2. ბუფეტი თეატრში, ცირკში და გემზე . . .	6.000	5.000	4.000	3.000	2.000
3. დროებითი გამოფენა საღამოებზე, ბაზრებზე, სეირნობაზე და სხვ. (თვითეული დღის ვაჭრობისათვის)	2.000	1.000	8.60	6.00	4.00
ბ. ადგილობრივი დალევა და გამოტანა.					
1. დუქნები	60.000	50.000	40.000	30.000	16.000
2. ლუდხანა	4.000	3.000	2.000	1.600	1.200
3. ლუდის დროებითი გამოფენა საღამოებზე, ბაზრებზე და სეირნობაზე (თვითეულის დღის ვაჭრობისათვის)	1.„00	9.000	8.00	6.00	4.00

გ. თამბაქოს და თამბაქოს ნაკეთობის ვაჭრობისათვის.

1. საბითუმო საწყობები ფოთოლ-თამბაქო ადგილობრივი და უცხოეთისა	6.000	5.000	4.000	4.000	4.000
2. საბითუმო საწყობები თამბაქოს ნაკეთობისა .	20.000	16.000	12.000	8.000	8.000
3. ცალობითი ვაჭრობა სავაჭრო ადგილებში .	10.000	8.000	6.000	5.000	4.000
4. ზიდვით და ტარებით	4.000	3.000	3.000	2.000	2.000

2. განაკვეთი ესე ძალაში შედის 1923 წლის იანვრის 1-დან.

შენიშვნა: 1923 წლისათვის უკვე აღებული პატენტი უნდა დამატებით დაიბეგროს ახალისა და ძველის განაკვეთის განსხვავების რაოდენობით.

3. ამა დადგენილების მოქმედება ვრცელდება მთლათ ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭოთა რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

4. ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭოთა რესპუბლიკის შედგენილობაში მყოფი საკანონმდებლო და საადმინისტრაციო დაწესებულებათა მიერ დღემდე ამა საგანზე გამოცემული ყოველი დადგენილება და განკარგულება გაუქმებულ იქნეს.

ამიერ-კავკ. საბჭოთა ცენტრ. აღმასრულებელი კომიტ. თავმჯდომარე **ს. ამბარცუმიანი.**

ამიერ-კავკ. სოც. ფედ. საბჭოთა რესპუბ. სახ. კომის. საბჭოს თავმჯდ. **მ. ორახელაშვილი.**

ამიერ-კავკ. საბჭოთა ცენტრ. აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ბ. ტალიბლი.**

ამიერ-კავკასიის საზალზო კომისართა საბჭო.

დეკრეტი

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერ-კავკასიის სოც. ფედერ. საბჭოთა რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

1023 წ. მაისის 21.

ზოგიერთი—საზღვარ-გარედ მყოფი პირისათვის მოქალაქეობის ულების ჩამორთმევის შესახებ.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ამიერ-კავკასიის სოც. ფედერ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. ქვემოდ ჩამოთვლილ კატეგორიის პირთ, რომელნიც საზღვარგარეგ იმყოფებიან, ამა დეკრეტის გამოცემისას, ერთმევათ ამიერ-კავკასიის სოც. ფედერ. საბჭოთა რესპუბლიკის მოქალაქეობის უფლებანი.

ა.—იმ პირთ, რომელნიც გავიდნენ საზღვარ-გარეგ 1921 წ. მარტის 1-დე, ოკეთუ იქ საბჭოთა წარმომადგენლობისაგან არ მიუღიათ საუცხო-

ეთო პასპორტი ან სხვა სათანადო მოწმობა და არ მოიპოვებენ ასეთ დოკუმენტებს 1923 წ. დეკემბრის 1-დე.

შენიშვნა: ეს ვადა არ ვრცელდება იმ ქვეყნებზე, სადაც საბჭოთა წარმომადგენლობა არ იმყოფება; ასეთ ქვეყნებში აღნიშნული ვადა დაიდება ზემოხსენებულ წარმომადგენლობათა დაარსების შემდეგ.

ბ. იმ პირთ, რომელნიც გავიდნენ საზღვარგარეთ 1921 წ. მარტის 1-ს შემდეგ საბჭოთა ხელისუფლების ნებადაურთველად.

გ. იმ პირთ, რომელნიც ნებაყოფლობით მსახურობდნენ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მებრძოლ არმიებში, ან მონაწილეობას იღებდნენ ამა თუ იმ სახით კონტრ-რევოლიუციონურ ორგანიზაციებში.

2. 1-ლი მუხლის ბ. და გ. პუნქტებში აღნიშნულ პირთ შეუძლიანთ შეიტანონ 1923 წ. დეკემბრის 1-დე ამიერ-კავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელი კომიტეტის სახელზე, მახლობელ საბჭოთა წარმომადგენლობის მეშვეობით, განცხადება—თავიანთ უფლებათა აღდგენის შესახებ.

ამიერ-კავკ. ცენტრ. აღმასრულებელი კომიტ. თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ამიერ-კავკ. სოც. ფედერ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერ-კავკ. ცენტრ. აღმას. კომიტეტის მდივანი **ტალიბლი.**

დადგენილება № 48

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

1923 წლის მაისის 11.

სატარიფო განაკვეთის რაოდენობის შესახებ სოციალური დაზღვევისათვის.

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა საკავშირო საბჭოს მიერ დაზღვევის ტარიფის საკატეგორიო განაკვეთის შესახებ 1922 წლის დეკემბრის 8-ს თარიღით გამოცემული დეკრეტის გასაუქმებლად, ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაწესებულ იქნეს 1923 წლ. მაისის 1-დან, დაქირავებული შრომით მომუშავე პირთა სოციალური დაზღვევისათვის შემდეგი ტარიფი გადასახადისა პროცენტებად ყოველგვარ ხელფასზე ყველა კერძო, კოოპერატიულ, საზოგადოებრივ, საკონცესიო, საიჯარო საწარმოში, დაწესებულებაში და მეურნეობაში და, აგრეთვე, ყველა სახელმწიფო საწარმოში და დაწესებულებაში, რომელიც გადატანილია საშეურნეო ანგარიშზე.

	ა.	ბ.	გ.	დ.	
	დროებითი შრომის უნარობისა და დამატებითი უზრუნველყოფისათვის	ინვალიდობისათვის და დაქირავებით მშრომელთა ოჯახების წევრთა დახმარებისათვის, როდესაც ამ ოჯახების მარჩენალი პირი გარდაიცვლება ან უკვალოდ დაიკარგება	უმუშევრობისათვის	სამკურნალო დახმარებისათვის	ჯამი
1. კატეგორია საფრთხისა და მავნებლობის მიხედვით	6 პროც.	3 ნახ.	2	4 ნახ.	16
2. კატეგორია საფრთხისა და მავნებლობის მიხედვით	6 ნახ.	4 ნახ.	2	5	18
3. კატეგორია საფრთხისა და მავნეობლობის მიხედვით	7	5	2	6	20
4. კატეგორია საფრთხისა და მავნებლობის მიხედვით	8	5 ნახ.	2	6 ნახ.	22

2. სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფი დაწესებულების და საწარეოსათვის (მათ შორის რკინიგზისა, წყლის ტრანსპორტისა და კავშირისა) და, აგრეთვე, სათბობი და მეტალის მრეწველობის იმ საწარმოთათვის, რომელთაც ფინანსურად ინახავს სახელმწიფო,—დაწესებულ იქნეს 1023 წლის მაისის 1-დან შემდეგი დროებითი შეღავათიანი ტარიფი:

ა) დაწესებულებათათვის 12 პროც. რაოდენობისა შემდეგის განაწილებით დაზღვევის სახის დაგვარად:

ა. დროებითი შრომის უუნარობისათვის 4 ნახ.

ბ. ინვალიდობისა და ოჯახის წევრთა დახმარებისათვის . . . . . 1 ნახ.

გ. უმუშევრობისათვის 2

დ. სამკურნალო დახმარებისათვის . 4

გ) სამრეწველო საწარმოთა და ტრანსპორტისათვის 16 პროც. რაოდენობისა შემჯეგის განაწილებით დაზღვევის სახისდაგვარად.

ა. დროებითი შრომის უუნარობისათვის 6

გ. ინვალიდობისა და ოჯახის წევრთა დახმარებისათვის . . . . . 3 ნახ.

ბ. უმუშევრობისათვის 2

დ. სამკურნალო დახმარებისათვის . 4 ნახ.

შენიშვნა: პროფესიონალური კავშირები დაზღვევის გადასახადში ეთანაბრებიან სახალხო კომისარიატის ჯგუფს (§ ა).

3. გაუქმებულად ჩაითვალოს იმ დაწესებულებათა და საწარმოთა დავალიანება დაზღვევის გადასახადში, რომელიც ჩამოთვლილ არიან ამა დადგენილების მე-2 მუხლში, მთელი ხნის განმავლობაში 1923 წლის იანვრის 1-დე.

ხოლო ის დავალიანება, რაც შესდგა 1993 წლის მაისის 1-დე, დაფარულ უნდა იქნეს მე-2 მუხლში აღნიშნულ დაწესებულებათა და საწარმოთა მიერ არა უგვიანეს 1923 წლის ივლისის 1-სა, ჯარიმასა და საკურსო განსხვავების დაუმატებლად.

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭოთა
რესპუბლიკის სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა
მმართველი **მ. პოლისი.**

სახ. კომის. საბჭოს მდივანი **გ. სარუხანოვი.**

სახ. ცენტრ. აღმას. კომიტ.

დეგულეგა.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა-ქალაქებში მიწათმოწყობის შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტის მიერ მიწის შესახებ 1921 წლ. აპრილის 6-ს თარიღითა და 17 №-ით გამოცემული დეკრეტის განსავითარებლად, რომელი დეკრეტის ძალითაც გაუქმებულია კერძო საკუთრების უფლება მიწაზე, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ზემოხსენებული დეკრეტის მე-3 და მე-18 მუხლის საფუძველზე ადგენს:

1. ამა დებულების გამოცემისთანავე ყოველი მიწა, რომელიც მდებარეობს მომქმედი საქალაქო მიჯნის შიგნით, ჩაითვლება საქალაქო მიწად. გარდა ამისა, ქალაქების სარგებლობაში მტკიცდება ქვემოთ აღნიშნული სოფლად მდებარე მიწები. ქალაქის ტერიტორიის გაფართოება ახალი საქალაქო მიჯნის დამყარებით სასოფლო მიწებზე სწარმოებს ამა დებულების მე-3-მე მუხლში აღნიშნულ საფუძველზე.

2. საქალაქო მიჯნად ჩაითვლება გარეთი საზღვარი როგორც შენობიანი ისე უშენობო მიწებისა, რომელიც ამა დებულების გამოქვეყნების დღისათვის იქნება ქალაქის საბჭოს გამგებლობაში და აგრეთვე ქალაქის საზღვარზე მიკრული ყოფილი საქალაქო მიწები, უკეთუ იგი არ არის გლეხთა მოსახლეობის ან მუშათა ორგანიზაციების ფაქტიურ სარგებლობაში.

შენიშვნა 1. განსაზღვრა მომქმედი საქალაქო მიჯნისა ადგილზე ან პლანზე, მთელი მისი სიგრძით ან ნაწილობრივ შესრულებულ უნდა იქნეს, უკეთუ საჭირო იქნება, მიწათმოქმედების წარმოების საერთო წესისამებრ, როგორც საქალაქო საბჭოს, ისე ქალაქის მიდამოების მცხოვრებთა განცხადებით.

შენიშვნა 2. მუშაობა ამ მუხლში აღნიშნული საქალაქო მიჯნის განსაზღვრისათვის უნდა სწარმოებდეს პირველ რიგობრივ.

3. უკეთუ ქალაქის გაფართოებისათვის აუცილებელი იქნება არსებული საქალაქო მიჯნის შეცვლა და ახალის დამყარება, საკითხი ამის შესახებ უნდა აღძრას ქალაქის საბჭომ ან შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა. ახალი საქალაქო მიჯნის დამყარების საქმე სწარმოებს მიწათმოწყობის საერთო წესისამებრ. უკეთუ შეთანხმება მიღწეულ ვერ იქნება, საქმე საბოლოო გადაწყვეტისათვის გადაეცემა სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმს. ახალი საქალაქო მიჯნის დამტკიცებული პროექტი სისრულეში უნდა იქნეს მოყვანილი საადგილ-მამულო ორგანოების მიერ.

4. ყოველი მიწა მდებარე მომქმედი საქალაქო მიჯნის გარეთ, ვის სარგებლობაშიაც უნდა იყოს იგი, შედის სოფლის ტერიტორიაში, არის საადგილ-მამულო ორგანოების საერთო გამგებლობაში და ემორჩილება სათანადო კანონებს მიწის შესახებ. ამასთანავე მიწა, რომელიც ფიქტიურად გამოუყენებელია ქალაქის კომუნალურ საწარმოეთაგან (წყალსადენი, მორწყვის მინდვრები, საბჭოთა მეურნეობანი და სხვ.) მტკიცდება ამ საწარმოვოთა სარგებლობაში.

5. საქალაქო მიჯნის გარეთ მდებარე მიწები იმ დაწესებულებათა და საწარმოთა სარგებლობაში ქონებული, რომელნიც არ შედიან კომუნალურ სამმართველოს შემადგენლობაში, უკეთუ ეს მიწები მათ კანონიერათ გადაეცათ, მტკიცდება ამავე დაწესებულებათა და საწარმოთა სარგებლობაში.

6. რათა თავიდან აცილებულ იქნეს უწესრიგოთ აღნაგობა იმ მიწებზე, რომელიც მოკლე ვლში შეიძლება შევიდეს ქალაქის მიჯნაში, ქალაქის საბჭოს უფლება ეძლევა, მიუხედავათ ახალი საქალაქო მიჯნის დამყარებისა შეადგინოს გეგმა და წე-

სი საქალაქო მიჯნის გარეთ მდებარე მიწებზე აღნაგობისათვის.

დღიდან ამა გეგმისა და წესის დამტკიცებისა, არსებული წესისამებრ და მცხოვრებთათვის მათი განცხადებისა, აკრძალულია ახალ შენობათა აგება, რასაც შეუძლია დაარღვიოს აღნიშნული გეგმა და წესი,—გარდა დროებითი და მსუბუქი შენობებისა—და აგრეთვე გაფართოვება არსებულ შენობათა. აგებულ ან გაფართოებული შენობა დაშლილ უნდა იქნეს იმ პირის ხარჯით, ვინც აწარმოებდა ამ საღნაგო მუშობას, უკეთუ აუცილებელი იქნება, რომ აღნიშნული მიწები გადაეცეს ქალაქს ზემოხსენებული გეგმისამებრ.

7. უკეთუ ქალაქის მიჯნაზე მიკრულ მიწებზე დაიწყება აღნაგობა, ან ამ მიწებს დაიჭერს კომუნალური დაწესებულება ან საწარმოო,—ქალაქის მიჯნა გადაწეულ უნდა იქნეს მიწათ-მოწყობის წარმოების საერთო წესისამებრ, რათა აღნიშნული მიწები მოექცეს ქალაქის მიჯნაში. ამა კანონში აღნიშნულ შემთხვევებისათვის მიწათმოწყობის წარმოების საქმეში მოწვეულ უნდა იქნენ როგორც მხარენი: ქალაქის საბჭოსი და თემის აღმასრულებელი კომიტეტის წარმომადგენელნი, ყველა დაინტერესებული დაწესებულება, ორგანიზაცია, საწარმოო, საადგილმამულო საზოგადოება და ცალკე მიწის მოსარგებლენი.

8. ზემოაღნიშნული წესები გავრცელებულ უნდა იქნეს აგრეთვე იმ დასახლებულ ადგილზე, რომელიც არსებული წესისამებრ ცნობილ იქნება ქალაქური ტიპის დასახლებულ ადგილად.

9. მიწის ნორმების დაწესებისათვის საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. ყველა ქალაქები განიყოფება სამ კატეგორიად: პირველ კატეგორიას მიეკუთნება: ტფილისი, ქუთაისი და ფოთი; მეორეს: გორი, სიღნაღი, თელავი, ახალ-სენაკი, ახალციხე, ჭიათურა და ოზურგეთი და მესამეს: ყველა დანარჩენი ქალაქები.

თვითეული კატეგორიის ქალაქები თავის მაზრათ იყოფა ზოლებად.

10. პირველი კატეგორიის ქალაქები იყოფა სამ ზოლად: შიდა უბანი, შუა უბანი და გარეთ უბანი.

ყველას ვინც ფლობს მიწას, როგორც შენობიანს, ისე უშენობოს დაეტოვება ნორმა:

ტფილისისა და ბათომის შიდა უბანში გარდა იმ მიწებისა, რომელზედაც აგებულია შენობა, დაეტოვება მიწის ნაკვეთი არა უმეტეს 200 ოთკუთხი საჟენისა, ხოლო ქუთაისსა და ფოთში არა უმეტეს 300 ოთხკუთხი საჟენისა.

ტფილისისა და ბათომის შუა უბანში დაეტოვება არა უმეტეს 400 ოთხკ. საჟენისა, ხოლო ქუთაისისა და ფოთში არა უმეტეს 600 ოთხკ. საჟ.

პირველი კატეგორიის ყველა ქალაქის გარეთ უბანში დაეტოვება ერთი დესიატინიდან ერთნახევარ დესიატინამდე იმის მიხედვით, თუ რა მანძილზეა დაშორებული მიწის ნაკვეთი ცენტრიდან.

11. მეორე კატეგორიის ქალაქები განიყოფება ორ ზოლად: შიდა უბანი და გარეთ უბანი.

მეორე კატეგორის ქალაქთა შიდა უბანში მიწის მფლობელს დაეტოვება ნორმად არა უმეტეს 600 ოთხკუთხ საჟენისა, ხოლო გარეთ უბანში არა უმეტეს ორი დესიატ.

12. მესამე კატეგორიის ქალაქებიც განიყოფება აგრეთვე ორ ზოლად: შიდა უბანი და გარეთ უბანი.

მესამე კატეგორიის ყველა ქალაქის შიდა უბანში მესაკუთრეს დაეტოვება ნორმად არა უმეტეს 900 ოთხკ. საჟ., ხოლო გარეთ უბანში დაეტოვება ის ნორმა, რაც მეზობელ სოფლებისათვის დაწესებულია სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1922 წლის მაისის 26-ს დებულებით მიწათ-მოწყობის შესახებ.

13. ქალაქის გარეთ უბანში მიწის მესაკუთრე—მიწათმომქმედ ოჯახს, რომლის არსებობის ერთად ერთ წყაროს შეადგენს სოფლის მეურნეობა, უფლება აქვს დაეტოვოს მიწის ნაკვეთი იმ ნორმით, რაც დაწესებულია 1922 წლის მაისის 26-ს დებულებით.

14. ქალაქების დაყოფას ზოლებად აწარმოებს ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტი და ამტკიცებს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი.

15. იმ მიწების გარდა, რაც დატოვებულია ნორმად, ყველა დანარჩენი ქალაქის ფარგლებში მდებარე მიწა გადადის ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტის განკარგულებაში და შეადგენს ქალაქის საადგილმამულო ფონდს.

შენიშვნა: თვითეული ქალაქის აღმასრულებელი კომიტეტი შეიმუშავებს საადგილმამულო ფონდის სარგებლობის სათანადო წესს, რომელსაც დაამტკიცებს შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატი.

16. მიწის სარგებლობის უფლება მოისპობა:

ა) სასამართლოს განაჩენით კანონში განსაზღვრული დანაშაულისათვის (კონფისკაცია).

ბ) მფლობელთა გადაშენებით:

გ) მიწის ჩამორთმევით სახელმწიფოს საჭიროებისათვის (გზისა და არხის გაყვანა. სახელმწიფო და სამრეწველო დაწესებულებათა საჭიროებანი და სხ.).

შენიშვნა 1: საკითხი მიწის ჩამორთმევის შესახებ სახელმწიფო საჭიროებისათვის აღძრულ უნდა იქნეს სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე.

შენიშვნა 2: უკეთუ ჩამორთმევა შეეხება კერძო მოსარგებლის ნორმას, მიწის პატრონს ზარალი უნდა აანაზღაუროს და შეძლებისადაგვარად უნდა მიეცეს სხვა მიწა.

შენიშვნა 3: ზარალის ანაზღაურების წესს შეიმუშავებს ინსტრუქციის სახით შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატი მიწათ მოქმედებისა და იუსტიციის სახალხო კომისარიატებთან შეთანხმებით.

17. მიწის სარგებლობის უფლების გადაცემა (გაყიდვა, დაგირავება, გაცვლა) აკრძალულია.

დამნაშავე პასუხს აგებს სასამართლოს წინაშე თანახმად სრულიად საქართველოს ცენტრალური

აღმასრულებელი კომიტეტის 1922 წ. დეკემბრის 30 თარიღით და 27 ნომრის დადგენილებისა.

18. უკეთუ მესაკუთრე გაასხვისებს თავის შენობას, მით მიწის ნორმა გადაეცემა ახალ მფლობელს იმავე უფლებით, რაც ჰქონდა შენობის გამასხვისებელ პირს.

19. უშენობო მიწის იჯარით გაცემა შეიძლება: 1) სტიქიური უბედურების გამო (მოუსავლობა, პირუტყვის გაწყვეტა და სხ.) 2) მუშა-ხელის რიცხვის შემცირების გამო (მობილიზაციის დროს და სხვ.) და 3 ქვრივ-ობლებისა და მოხუცებულთათვის.

20. გავრცელებულ იქნეს სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრ. კომიტეტის მიერ მიწათმოწყობის შესახებ 1922 წ. მაისის 26-ს თარიღ. გამოცემული დებულების მე-11 და მე-13 მუხ. ქალაქის ფარგლებში მდებარე მიწებზე.

21. მიწის რეფორმის განხორციელება ქალაქად დაეკისრება ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტებს.

22. მიწადმოქმედებისა და შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატებს უფლება ეძლევათ ურთიერთთან შეთანხმებით გამოსცენ ხოლმე წესები და ინსტრუქციები ამა კანონის შეფარდებისათვის.

23. ძირითადი დებულებანი ქალაქებში მიწათმოქმედების დებულების იმ ნაწილისა, რაც შეეხება მიწათმოწყობისა და მიწების განაწილებას, გავრცელებულ იქნეს აფხაზეთის რესპუბლიკაზე, აჭარისტანის ატონომიურ რესპუბლიკაზე და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქზე.

24. დებულება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე
მ. ცხაკაია.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი
პ. საბაშვილი.

1923 წ. აპრილის 12.
ტფილისი—სასახლე.

საქ. სახ. კომის. საბჭო.

დადგენილება № 94

საქართველოს სოც. საბჭ, რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

სამოქალაქო საქმეთათვის გასაწევი სასამართლო ხარჯების თაობაზე გამოცემულ დადგენილებათა შეცვლისა და დამატების შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტის მიერ 1922 წ. იანვრის 31 თარიღით და 134 №-ით გამოცემული დადგენილების შესაცვლელად და დასამატებლად, აგრეთვე საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1923 წ. თებერვლის 15-ს თარიღითა და 80 №-ით გამოცემული დადგენილების გასაუქმებლად,—საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ყველა სახელმწიფო დაწესებულება და საწარმო, რომელიც იხდის სარეწავ გადასახადს, განთავისუფლებულია საღერბო გადასახადისაგან, აგრეთვე სასამართლო და საკანცელარიო ბაჟისაგან.

2. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სახ. კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე ა. **გეგეჭკორი.**

სახალხო კომისართა საბჭოს
მდივანი **ალ. სალარიძე.**

1923 წ. მაისის 12, ტფილისი—სასახლე.

დადგენილება № 95.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

სისხლის სამართლის საქმეთა მაძიებელი მილიციის თანამშრომელთათვის ბოროტ-მოქმედებით მოპოებული ქონების აღმოჩენისათვის ჯილდოს დაწესების შესახებ.

ბოროტ მოქმედებასთან ნაყოფიერი ბრძოლისათვის საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. შემოღებული იქნეს პროცენტული ანარიცხი ბოროტ-მოქმედებით მოპოებულ და სისხლის სამართლის საქმეთა მაძიებელი მილიციის მეშვეობით აღმოჩენილ ქონებიდან და შემოსული თანხებისაგან შედგენილ იქნეს განსაკუთრებული ფონდი.

2. რაოდენობა პროცენტისა, რომელიც აღმოჩენილი ქონების ღირებულებიდან უნდა გამოირიცხოს, განისაზღვრება: სახელმწიფო დაწესებულების და საწარმოოს, აგრეთვე კოოპერატიული ორგანიზაციის ქონებისათვის—10 პროცენტით, ხოლო კერძო პირისა და საკომერციო ხასიათის კერძო შენაერთის ქონებისათვის 15 პროცენტით.

3. პროცენტული ანარიცხისაგან განთავისუფლებულია ოჯახში სახმარებელი პირველი საჭიროების საგნები და ისეთი ქონება, რომლის ღირებულებაც 50 ოქროს მანეთს არ აღემატება; შეიძლება აგრეთვე ამ ანარიცხისაგან განთავისუფლებულ იქნეს სხვა კატეგორიის ქონებაც, თვითეულ ცალკე შემთხვევაში ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტის სამმართველოს განყოფილების განსაკუთრებული დადგენილებით.

4. ამა დადგენილების 1-ლი მუხლის თანახმად შემდგარი ფონდის დანიშნულებაა—მიეცეს ჯილდო სისხლის სამართლის საქმეთა მაძიებელი მილიციის თანამშრომელთ მოტაცებული ქონების აღმოჩენისათვის, ან დამნაშავის შებყრობისათვის; ჯილდოს გაცემა უნდა მოხდეს ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტის სამმართველოს განყოფილების განკარგულებით; თანამშრომელი დასაჯილდოვებლად უნდა წარადგინოს ტფილისში—სისხლის სამართლის საქმეთა მაძიებელი მილიციის უფროსმა ხოლო ადგილობრივ—ადგილობრივი მილიციის უფროსმა.

შენიშვნა: დადგენილება ესე ვრცელდება აგრეთვე იმ ქონებაზედაც, რომელიც სისხლის სამართლის საქმეთა მაძიებელი მილიციის მეშვეობით უკვე აღმოჩენილია, მაგრამ ამა დადგენილების გამოქვეყნების დღემდე პატრონს ჯერ არ დაჰბრუნებია.

5. დაევალოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარს გამოსცეს ინსტრუქცია ქონების შეფასებისა და ჯილდოს გაცემის წესის შესახებ.

6. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის
მოადგილე **ა. გეგეჭკორი.**

სახალხო კომისართა საბჭოს
მდივანი **ალ. სალარიძე.**

1923 წ. მაისის 15.
ტფილისი—სასახლე.

დადგენილება № 96.

საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტის მიერ სამსახურის გამო მივლინებულთა რეგისტრაციისათვის 47 №-რით გამოცემული დადგენილებისა და საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს 38 №-ის დადგენილების მე-6 მუხლის შეცვლის შესახებ.

საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტის მიერ სამსახურის გამო მივლინებულთა რეგისტრაციისათვის 47 №-ით გამოცემული დადგენილებისა და საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს № 38-ის დადგენილების შესაცვლელად საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. აღნიშნულ დადგენილებათა მე-6 მუხლი შეიცვალოს შემდეგნაირად:

მუხ. 6. ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტებს დაევალებათ შემოიღონ სამსახურის გამო მომსვლელ და წამსვლელ პირთა ყოველდღიური აღნუსხვა (რეგისტრაცია), და ამ სარეგისტრაციო აღნუსხვის ამონაწერი წარუდგინონ სათანადო სახალხო კომისარიატს იმ შემთხვევაში, როდესაც უკანასკნელი ამას მოითხოვს.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა სახჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ა. გეგეჭკორი.**

შინ. საქ. სახ. კომისრის მოადგილე **ტალახაძე.**

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი
ალ. სალარიძე.

1923 წ. მაისის 21. ტფილისი—სასახლე.

დეკრეტი

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომის. საბჭოსი.

1921—1922 წ. სასურსათო გადასახადის ნარჩენის გადახდევინების მოსპობის შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს;

1. მოსპობილ იქნეს სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1922 წლის ივნისის 20-ს თარიღითა და მე-7 №-რით გამოცემული დეკრეტით განსაზღვრული გადახდევინება 1921—1922 წლ. სასურსათო გადასახადის ნარჩენისა.

2. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

სრულიად საქართველოს საბჭოთა
ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდ. მოადგილე **ა. გეგეჭკორი.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა
ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **პ. საბაშვილი**

1923 წ. მაისის 22. ტფილისი—სასახლე.

შინაგან საქმ. საზ. კომის.

ცირკულიარულად.

გამასწორებელ სახლების უფროსებს.

ვინაიდან ადამიანის ცხოვრებაში ტანის სისუფთავეს და სიფაქიზის დაცვას უაღრესი მნიშვნელობა აქვს, მეტადრე იმ ადგილებში, სადაც მჭიდრო მოსახლეობაა ან მრავალრიცხოვან ხალხს აქვს თავი მოყრილი, საჭიროთ მიგვაჩნია ჯანმრთელობის ამ დარგს თქვენდამი რწმუნებულ გამასწორებელ სახლში მიაქციოთ უდიდესი ყურადღება და ფართო ნიადაგზედ მოეწყოს პატიმართა ტანის სისუფთავისა და სიფაქიზის დაცვის საქმე.

ამ მიზნით გავალებთ დაუყონებლივ შეუდგეთ თქვენდამი რწმუნებულ სახლთან აბანოს მოწყობის საქმეს, თუ ასეთი არ არის, სადაც თვეში ორჯერ პატიმართ შეძლება მიეცეთ ისარგებლონ აბანოთი და შემოიღონ საგანგებო დავთარი, საცა აღნიშნულ უნდა იყოს, თუ რა დღესა და რიცხვში ისარგებლა პატიმარმა აბანოთი.

ამასთან ერთად უნდა მიიღოთ ზომები, რომ აბანოსათვის საჭირო საგნები, როგორც მაგალითად: საპონი და სხვა შეძენილ იქნას საკმაორაოდენობით.

შედეგი უნდა მეცნობოს დაუყონებლივ.

საპატიმრო ადგილების უფროსი **კაკაბაძე.**

პატიმართა მუშაობის გამგე **სინაურიძე.**

26 აპრილი, 1923 წ.

ცირკულიარულად

ყველა მაზრის აღმასკომს.

წარმოებათა იჯარით გატემის შესახებ.

შემჩნეულია, რომ ზოგიერთ მაზრაში არის ისეთი შემოსავლიანი წარმოებები, როგორც ელექტრონის სადგურები, წყლისა და ორთქლსმოძრავი წისქვილები. ხე-ტყის მხერხავები, აბანოები და სხვ. რომლებიც მათი შეუკეთებლობის გამო, ან უმოქმედოთ არიან და არავითარი შემოსავალი არ შემოაქვთ ადგილობრივ ხელისუფლებისათვის, ანდა შემოსავლიანია მაგრამ არ იძლევიან იმდენს, რამდენიც შეეძლო მოეცა წარმოებას სათანადო ექსპლოატაციის დროს, როგორც წარმოების შეუკეთებლობით — მისი უმოქმედობა, ისე მცირე შემოსავლიანობა არ არის მოსათმენი და დასაშვები ადგილობრივ აღმასკომების საბიუჯეტო ინტერესებისათვის, რისთვისაც საჭიროა ადგილობრივ ხელისუფლების ორგანოებმა, ადგილობრივ საშუალებათა და ბიუჯეტის გადიდების მიზნით — მაზრაში არსებული წარმოებანი, რომელნიც ამა თუ იმ მიზეზით ამ ჟამად უმოქმედოთ არიან, ანდა მათი უშუალო ექსპლოატაციით უმნიშვნელო შემოსავლიანია იჯარით გადაცემის პირობების გამომუშავებისას გამოწვეულნი უნდა იქნენ სათანადო განცხადებების საშუალებით. ზემოხსენებული ზომები ორივე შემთხვევაში გააძლიერებს ბიუჯეტის შემოსავლიანობას და შეამცირებს გასავალს.

შინ. საქ. კომისრის მოადგ. **ტალახაძე.**

საქმეთა მმართველი **დ. ჩიქოვანი.**

კომუნალურ განყ. გამგე **ნანეიშვილი.**

6 აპრილი, 1923 წ.

ცირკულიარულად

სამაზრო აღმასკომების თავმჯდომარეებს.

ამ ბოლო დროს შინ. საქ. სახ. კომისარიატში შემოდის ცნობები, რომ როგორც ცენტრში ისე ადგილობრივადაც იყიდება კონტრაბანდური თუთუნი.

ვიღებ რა მხედველობაში, რომ ასეთი მოვლენები ზიანს აყენებს, მთელ სათამბაქო საქმიანობას საქართველოში, გთხოვთ მიიღოთ ენერგიული ზომები კონტრაბანდის წინააღმდეგ და დამნაშავეთა კანონიერ პასუხისმგებლობაში მისაცემათ.

შინ. საქ. სახ. კომისრის მოად. **ტალახაძე.**

საქმეთა მმართველი **დ. ჩიქოვანი.**

საერთო განყ. გამგე **ა. ჩიქოვანი.**

27 აპრილი, 1923 წ.

ცირკულიარულად.

ყველა გამასწორებელ სახლის უფროსს.

§ 1.

მსჯავრ დადებულ პატიმრების მიერ მათი ვადამდე განთავისუფლების შესახებ განცხადების შემოტანის დროს გამასწორებელ სახლის უფროსები ვალდებულნი არიან თვალ-ყური ადევნონ, რათა პატიმართ მოხდილი ჰქონდეთ სასჯელის ერთი ნახევარი და რათა განცხადებასთან ჰქონდეს დართული განაჩენით პირი ან ამონაწერი მისგან, შემოწმებული და ბეჭედ დასმული, და აგრეთვე სხვა საჭირო ცნობები არსებულ წესის თანახმად.

§ 2.

მსჯავრ დადებულ პატიმრის მიერ, რომელსაც ვადამდე განთავისუფლებაზედ უარი ეთქვა, სასა-

მართლო ორგანოების ან და გამწესრიგებელ კომისიის მიერ, ხელმეორედ განცხადების შემოტანა ვადამდე განთავისუფლების შესახებ დასაშვებია მხოლოდ ორი თვის შემდეგ დღიდან ცნობის მიღებისა, რომ მას ვადამდე განთავისუფლებაზე უარი ეთქვა, უკეთუ ეს უარი გამოწვეული არ იყო იმ გარემოებით, რომ პატიმარს არ ქონდა მოხდილი მისჯილი სასჯელის ნახევარი ვადა.

§ 3.

მსჯავრ-დადებულ პატიმარის მიერ მოკლე ვადიანი შვებულების მიცემის შესახებ განცხადების შემოტანის დროს განცხადებასთან წარმოდგენილ უნდა იქნეს საჭირო ცნობები არსებულ წესის მიხედვით. გამასწორებელ სახლის ადმინისტრაციამ თვალ-ყური უნდა ადევნოს, რათა განცხადებები შვებულების შესახებ წარმოდგენილ იქნეს გამწესრიგებელ კომისიაში საპატიმრო ადგილების საერთო დებულების 57 მუხლის თანახმად.

§ 4.

ერთი რიგიდან მეორე რიგში გადაყვანისა გამასწორებელი სახლების ადმინისტრაციამ სასტიკათ უნდა იხელმძღვანელოს საპატიმრო ადგილების დებულების 46 და 47 მუხლებით. და აგრეთვე იმავე დებულების მეორე № ის დანართის მე 9 და მე-10 მუხ., ხოლო დადგენილება ყოველგვარი გადაყვანის შესახებ რიგიდან რიგში საპ. ად. საერთო დებულების მეორე № ის დანართის მე-9 და მე-10 მუხლების მიხედვით ან და საპ. ადგილების საერთო დებულების 46 და 47 მუხლებში გათვალისწინებულ ვადაზე ადრე, გამ. სახლის კოლეგიამ უნდა წარადგინოს დასამტკიცებლათ გამწესრიგებელ კომისიაში; უნდა იქნეს წარდგენილი ცნობები და დაწვრილებითი დახასიათება პატიმრის ყოფა ქცევის და მუშაობის შესახებ.

შენიშვნა: გამონაკლისს პარაგრაფ მესამედან დასაშვებია განსაკუთრებულ შემთხვევებში, მაგალითად პატიმრის მეუღლის სიკვდილი ან სხვა გარეშე ამ ცირკულიარის პარაგრაფებში ჩამოთვლილ ცნობებისა პატიმართ შესახებ გამწესრიგებელი კომისია არ განიხილავს პატიმართა განცხადებებს.

საპატიმრო ადგილების მთავარ
სამმართველოს უფროსი **ბ. კაკაბაძე.**

გამწესრიგებელ კომის. თავმჯდ. **გ. ტაბიძე.**

ინსტრუქტორ კონტროლიორი **ყუფარაძე.**

30 აპრილი, 1923 წ.

ცირკულიარულად.

ყველა გამასწორებელ სახლის უფროსს.

წინადადებას ეაძლევთ გზათა სახალხო კომისარიატის ორგანოების მოთხოვნილებებით რიგს გარეშე გაუშვათ პატიმრების სამუშაოთ რკინის გზაზედ ლიანდაგის გასაწმენდათ თოვლისაგან, იმ პატიმართა კატეგორიიდან, რომელსაც საპატიმრო ადგილების საერთო დებულების თანახმად შეუძლიათ გარეშე სამუშაობზედ გამოსვლა.

შრომის ხელფასის გადახდის შესახებ უნდა მოელაპარაკოთ რკინის გზის სამმართველოს, მხოლოდ იქონიეთ სახეში რომ, შრომის ხელფასის რაოდენობა არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს ნაკლები პროფესიონალურ კავშირების მიერ გამომუშავებულ შრომის ხელფასზე.

საპატიმრო ადგილების უფროსი **ბ. კაკაბაძე.**

გამნაწ. კომის. თავმჯდომარე **გ. ტაბიძე.**

ინსტრუქტორ-კონტროლიორი **ყუფარაძე.**

20 აპრილი, 1923 წ.

ცირკულიარულად.

ყველა მაზრის და ქალაქის აღმასკომების თავმჯდომარეებს.

დამატებათ ჩვენი ცირკულიარულ განკარგულებისა ამა წლის 26 აპრილის თარიღით № 10/115 გაცნობებთ, რომ თქვენ ვალდებული იყავით გადმოგეგზავნათ ცნობები ოსმალელ ლტოლვილთა და სამხედრო ტყვეთა შესახებ ამა წლის 15 მაისამდე, მაგრამ მიუხედავად ამისა, დღესაც არ არის შესრულებული, ამისათვის წინადადებას გაძლევთ პირად პასუხისმგებლობის ქვეშ გადმოგზავნოთ ცირკულიარ № 10/115 დართულ ფორმის მიხედვით ცნობები რწმუნებულ თქვენდამი მაზრაში ან ქალაქში მყოფ ოსმალელ ლტოლვილთა და სამხედრო ტყვეების შესახებ ერთი კვირის განმავლობაში დღიდან ამ ცირკულიარის მიღებისა.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარის
მოადგილე **ტალახაძე.**

სამოქალაქო განყ. გამგე **ცინცაძე.**

26 მაისი, 1923 წ. ქ. ტფილისი.

ბრძანება № 1316

შინაგან საქმეთა სახალხო კომისრისა.

შესაცვლელად ჩემი ბრძანებისა 6/წ. 12 აგვისტოს თარიღით № 1385 ვბრძანებ:

§ 1.

იმ უცხო სახელმწიფოთა ქვეშევრდომ მოქალაქეთ, რომელნიც ჩამოდიან დროებით საზღვარგარეთიდან საქართველოს ს.ს.ს. რესპუბლიკის ტერიტორიაზე სავაჭრო საქმეების გამო ცხოვრების უფლების მოწმობაზე გადახდეს 5 მანეთი ოქროთი.

§ 2.

სამხედრო ტყვეები, ინვალიდები და ლტოლვილები განთავისუფლებულ იქნენ ასეთ გადასახადიდან.

§ 3.

სხვა დანარჩენი უცხო სახელმწიფოთა ქვეშევრდომთა მოქალაქენი, რომელნიც ჩამოდიან დრო-

ებით საზღვარ-გარეთიდან საქართველოს ტერიტორიაზე პირად საქმეების გამო და ვერ შესძლებენ დაწესებულ ფასის გადახდას შეიძლება განთავისუფლებულ იქმნან გადასახადიდან.

§ 4.

ეს ბრძანება არ ეხება იმ უცხო სახელმწიფოთა მოქალაქეთ, რომელნიც მუდმივათ ცხოვრობენ საქართველოს ტერიტორიაზე და რომელთა მიმართ არსებობს სხვა გადასახადი კომისარიატის საერთო განყოფილების მიერ გაცემულ პასპორტებზე.

შინ. საქმ. სახ. კომისარი **ა. გეგეჭკორი.**

საქმეთა მმართველი **დ. ჩიქოვანი.**

სამოქ. მდგომ. განყ. გამგე **გრიგოლია.**

14 აპრილი, 1923 წ.

ა/კ. შრომის სახ. კომისარ.

დადგენილება № 13

ამიერ-კავკ. შრომის სახალხო კომისარიატის საქ. რწმუნებულის სამმართველოსი.

პოლიტიკურ, პროფესიონალურ, კოოპერატიულ, სამეურნეო და საბჭოთა დაწესებულებათა ორგანიზაციების პასუხისმგებელ მომუშავეთა ტარიფების შესახებ.

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს 1922 წლის, 1 ოქტომბრის № 53-ის და ამიერ-კავკ. შრომის სახალხო კომისარიატის საქ. რწმუნებულის სამმართველოს ამა წლის 26 თებერვლის, № 7 დადგენილების აღსასრულებლად, ამიერ-კავკ. შრომის სახალხო კომისარიატის საქ. რწმუნებულის სამმართველო ადგენს:

1. ამა წლის 1 აპრილიდან 1-ლი ხარისხის პასუხისმგებელ მომუშავის სატარიფო განაკვეთი განისაზღვროს 10 საქონლის მანეთით, 1:5 დამოკიდებულებით.

2. პასუხისმგებელ მომუშავეთა ხელფასის გასწორება მოხდეს შემდეგი სატარიფო ცხრილის მიხედვით.

მე-10	ხარისხ.	—30	მან.
მე-11	„	—32	„
მე-12	„	—35	„
მე-13	„	—37	„
მე-14	„	—40	„
მე-15.	„	—43	„
მე-16	„	—46	„
მე-17	„	—50	„

3. ანგარიშის გასწორება ხდება ამიერ-კავკასიის ფულის ნიშნებით ამიერ-კავკ. შრომის სახალხო კომისარიატის საქ. რწმუნებულის სამმართველოს მიერ გამოქვეყნებულ მანეთის კურსის მიხედვით, თანახმად მისი 9 მარტის—1923 წ. ცირკულიარულ განკარგულებისა.

4. ყველა ამიერ-კავკასიის შრომის სახ. კომისარიატის საქ. რწმუნებულის სამმართველოს მიერ, გამოცემული დადგენილებები, პასუხისმგებელ მომუშავეთა ტარიფების შესახებ, გაუქმებულად ჩაითვალოს, გარდა ამა წლის 26 თებერვლის დადგენილება № 7-ისა.

5. დადგენილება ესე ძალაში შედის 1923 წ. 1-ლ აპრილიდან.

ამიერ-კავკ. შრომის სახალხო კომისარიატის რწმუნებული საქართ. **ა. იაშვილი.**

შეთანხმებულია ს. ბ. კ. ს. მდივანი **ჯუღელი.**

საერთო-საორგ. განყ. გამგე **ლ. ქურდოვანიძე.**

დადგენილება № 14.

ა/კ. შრ. სახ. კომ. საქ. რწმუნ. სამმართველოსი.

შრომის ინვალიდთა და დაზღვეულ მარჩენალის გარდაცვალების ან უგზო უკვლო დაკარგვის შემთხვევებში, მისი ოჯახის უზრუნველსაყოფ პენსიის, უმუშევართა და დაზღვევის დამატებითი სახეების დახმარებათა ნორმის გამოსაანგარიშებლათ სახელმწიფო სატარიფო მინიმუმის დაწესების შესახებ.

შრომის ინვალიდთა და დაზღვეული მარჩენალის გარდაცვალების ან უგზო-უკვლოთ დაკარგვის შემთხვევაში მისი ოჯახის წევრთა უზრუნველსაყოფ პენსიის, უმუშევართა და დაზღვევის დამატებითი სახეების დახმარებათა ნორმის—სამუშაო ხელფასის ე. ი. სახელმწიფო მინიმუმის საფუძვლათ მდებარე გამოსაანგარიშებელ ერთეულზე გადატანისა და ზემოაღნიშნულ დახმარებათა მიზანშეწონილ და პროგრესიულათ გადიდების მიზნით ა/კ. შრ სახ. კომ. საქ. რწმუნ. სამმართველო ადგენს.

1. შრომის ინვალიდთა დაზღვეული მარჩენალის გარდაცვალების ან უგზო-უკვლოთ დაკარგვის შემთხვევებში მისი ოჯახის წევრთა უზრუნველსაყოფ პენსიის, უმუშევართა და დაზღვევის დამატებითი სახეების დახმარებათა ნორმის გამოსაანგარიშებლათ ა. წ. მაისისათვის საქართველოს ს.ს.რ. მთელ ტერიტორიაზე საფუძვლათ დაედვას რვა საქონლის ფასის გამომხატველი 8 მანეთი და ოცდა ერთი კაპიკი (8 მან. 21 კაპ.) რაც შეადგენს ა/კ. ბონებით—ცხრა მილიონ რვაას ორმოცდა თორმეტ ათას მან. (9.852.000 მან.)

2. ადგილობრივ დამზღვევ კასათ ევალებათ ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნულ კატეგორიის პირთა დახმარებისა და პენსიის გამოსაანგარიშელათ იხელმღვანელონ ზემოაღნიშნულ შრომის ხელფასით.

3. როგორც კასის მონაწილეთ, ისე მათი ოჯახის წევრთ მშობიარობისა და დასაფლავებისათვის, რომელთაც ქონდათ ადგილი 1-ლ მახისამდ უნდა მიეცეთ დახმარება ძველი ნორმით, ოლოე ბავშვთა საკვებათ უნდა მიეცეთ დახმარება ძველი

ნორმით. 1-ლ მაისიდან კი-ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნული ნორმით.

ა/კ. შრ. სახ. კომ. რწმუნებული საქართველოში: ა. იაშვილი.

სოც. დაზღვევის მმართველ. მდივანი ს. თელია

დადგენილება № 17.

ა/კ. შრომის სახ. კომ.-ის საქართ. რწმუნ. სამმართველოსი 22 მაისი 1923 წ.

1923 წ. მაისში შრომის ხელფასის მინიმუმის შესახებ.

1. დაწესდეს მაისში შრომის ხელფასის მინიმუმი შემდეგი რაოდენობით: 1-ლი ზოლისათვის (ქ. ბათომი) 7.896.000 მ., მე-2-ე (ს. ს. ს. რ. დანარჩენი ტერიტ.) 6.580.000 მ. ცხრილში შეფარდებით წესდება 1: 5-თან.

2. ამა დადგენილების 1-ლ მუხლში დაწესებული განაკვეთები ნორმალურ სამუშაო დროისთვის წარმოადგენენ თვიურ გასამრჯელოს სავალდებულო მინიმუმს, რომლის ნაკლების მიცემის უფლება არა აქვს არც ერთ სახელმწიფო და კერძო წარმოება-დაწესებულებათ.

ა/კ. შრ. სახ. კომ. რწმუნებული საქართ. ა. იაშვილი.

საერთო საორგ. განყ. გამგე ლ. ქურდოვანიძე.

დადგენილება № 18.

ა/კ. შრომის სახ. კომ.-ის საქართ. რწმუნებულის სამმართველოსი 22 მაისი 1923 წ.

1923 წ. მაისში შრომის ხელფასის მაქსიმუმის შესახებ.

1. მაისში, როგორც სახელმწიფო მომარაგებაზე მყოფ, ისე სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანილ ყველა სახელმწიფო წარმოებაწესებულებებსა და ორგანიზაციებში ერთი პირის მიერ მისაღებ ჯილდოს მაქსიმალურ რაოდენობათ დაწესდეს ორას ოცდა ხუთი მილიონი (225.000.000) მანეთი, რომელშიაც შევა ძირითადი ხელფასი და აგრეთვე როგორც ძირითადი თანამდებობის მიხედვათ, ისე შეთავსებით სხვა წარმოებადაწესებულებში ნარდი და ზედმეტი მუშაობას ჯილდო.

ღაწესებულ ხელფასში არ შედის ლექციის წაკითხვის და ლიტერათურული მუშაობის (მეცნიერული და პუბლიცისტური) გასამრჯელო, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ლექციის კითხვა შეადგენს ძირითად მოსაქმეობას.

შენიშვნა: სალიტერატურო მუშაობათ არ ჩაითვლება მოხსენებათა და კოსულტაციების წერილობით წარმოდგენა—რესპუბლიკის დაწესებულებებში.

2. 1-ლ მუხლში დაწესებულ მაქსიმალურ რაოდენობის ჯილდოს ზევით გაცემისათვის, მატერიალური და სისხლის სამართლის პასუხისგება ედებათ სახელმწიფო წარმოებათა და დაწესებულებათა ყველა ხელმძღვანელთ.

ა/კ. წრ. სახ. კომ. რწმუნებული საქართ. ა. იაშვილი.

საეროო საორგ. განყ. გამგე ლ. ქურდოვანიძე.

არაოფიციალური განყოფილება.

9 ივნისი, 1923 წ.

ერთ-ერთი, უმთავრესი საშუალებათაგანი რომლითაც შეიძლება ადგილობრივი ორგანოების მუშაობასთან გაცნობა ცენტრში, არის ადგილებიდან მოხსენებათა მიღება; სამაზრო აღმასკომების მუშაობის შესახებ მოხსენებებში შეტანა ყველა იმ საკითხისა, რომელიც კი იპყრობს ყურადღებას ადგილობრივ ორგანოებისას, და საერთოდ მოკლე ამოწურული ცნობების მოთავსება მთელი მუშაობის შესახებ, განსაკუთრებით საყურადღებო და აღსანიშნავი მოვლენაა. ასეთი მოხსენების საშუალებით შ.ს.ს. კომისარიატი და საერთოდ ცენტრალური ხელისუფლების ორგანოები ეცნობიან საქმის ფაქტიურ მდგომარეობას ადგილობრივ, აქცევენ ყურადღებას როგორც დადებით ისე უარყოფით მხარეებს, იქმნება საერთო სურათი მთელი მაზრის და ბოლოს რესპუბლიკის მაშტაბით და მოხსენებათა შესწავლის შედეგად, სწორედ იმ მხარეს, იმ დარგს და ორგანოს მიექცევა ზედმეტი ყურადღება, რომლის შესახებ წარმოდგენილ მოხსენებაში იქნება აღნიშნული ნაკლი, დაბრკოლება და სხვ. გარდა ამისა მოხსენებების საშუალებით ცენტრისა და პროვინციას შორის გაბმულია ხოლმე მუდმივი კავშირი, სისტემატიურად გროვდება ათას გვარი ცნობა და სხვ. რომლებიც უმაღლესი მთავრობისათვის წარსადგენ ნახევარი წლის და წლიურ მოხსენებებში შედიან ხოლმე.

ჩვენ გვინდა მივაქციოთ ადგილობრივ მოღვაწეთა ყურადღება იმ გარემოებას, რომ არაა ადვილი ხშირად ასეთი ხასიათის მოხსენებათა წარმოდგენა. იმდენი სამუშაო აქვს ხოლმე მაზრაში ხელისუფლების ორგანოებს, რომ მათ არ შეიძლება მოეთხოვოს ყოველთვიურად მოხსენებათა წარმოდგენა. ეს გარემოება მხედველობაში ჰქონდა შ.ს.ს. კომისარიატს, როცა მან გამოაქვეყნა სახელმძღვანე-

ლოდ ინსტრუქცია „მოხსენებათა შედგენის წესის შესახებ“ (იხ. შ.ს.ს. კომისარიატის ჟურნალი „მოამბე“ № 37, გვ. 11) ამ ინსტრუქციის მიხედვით მაზრის აღმასკომი ვალდებულია **სამ თვეში ერთხელ** წარმოადგინოს ამოწურული მოხსენება ადგილობრივი მდგომარეობის შესახებ. უნდა აღინიშნოს რომ ეს ინსტრუქცია სავსებით არ სრულდება, ხშირად ზოგიერთი მაზრა, გზავნის მოხსენებას 6 თვეში ერთხელ, ზოგჯერ წელიწადში ერთხელ. არის ისეთი მაზრაც, რომელსაც 2 წლის განმავლობაში მარტო ერთი მოხსენება აქვს წარმოდგენილი.

ასეთი მდგომარეობა უსათუოდ უნდა გამოსწორდეს და შ.ს.ს. კომისარიატს უნდა ექნეს მაზრების მუშაობის ანგარიში ყოველ სამ თვეში ერთხელ. შეიძლება შემდეგში საჭირო არ იქნეს (რაც ძალიან საეჭვოა) სამ თვეში ერთხელ მოხსენების წარმოდგენა, მაგრამ დღეს-დღეობით, როცა ჯერ კიდევ სავსებით არ დასრულებულა ხელისუფლების ორგანოთა ჩამოყალიბება, სანამ არ შექმნილა ნორმალური ტიპი მცირე აპარატებისა, სანამ გადახალისების, გადაჯგუფების, გადამიჯვნის პერიოდში ვართ და სხვ. უდავოთ უნდა მივიჩნიოთ სისტემატიური და თავდარიგიანი გზავნა მოხსენებათა. განვლილი დრო, საკმარისი უნდა იყოს იმისათვის, რომ ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები შესჩვეოდენ მოხსენებათა წარმოდგენას, მაგრამ სამწუხაროთ ეს არ შეიძლება ითქვას ყველა მაზრის შესახებ.

რაც შეეხება თვით შინაარსს მოხსენებებისას, ამ მხრივ მდგომარეობა კიდევ უფრო უნუგეშოა. არ დავასახელებთ რომელი მაზრის აღმასკომი როგორ ანგარიშს გზავნის, მაგრამ უდიდესი ნაწილი ძალიან სუსტია და არავითარ ფაქტიურ მასალას არ იძლევა. მოხსენებებში არაა დაცული ერთი, მთლიანი სისტემა მათი შედგენისა. ხშირად ერთი და იმავე ორგანოს რამოდენიმე მოხსენება ერთი და იმავე სიტყვებით, წინადადებით იწყება და უფრო პუბლიცისტურ წერილს გავს, ვინემ საქმიან მოხსენებას, ამის თავიდან ასაცილებლად, ზევით დასახელებული **ინსტრუქცია** იძლევა სახელმძღვანელოს თუ როგორ, რა სახით დაიწეროს მოხსენება რას უნდა მიექცეს ყურადღება განსაკუთრებით. ინსტრუქცია იმდენ მუხლადაა დაყოფილი, რომ ყველა მაზრა იპოვის მასში იმ კითხვას, რომელიც მას აინტერესებს (შეიცავს 3 თავს და 29 **მუხლს**). მხოლოდ ზოგიერთი მაზრა უახლოვდება ინსტრუქციის მოთხოვნილებას. უპირატესობა მოთხოვნილებათა დაცვისა იმაში მდგომარეობს, რომ ა) დამყარდება ერთი წესი მოხსენებათა შედგენის დროს, ბ) მოხსენება იქნება სხარტული, ამოწურული ცნობების მიმწოდებელი, გ) გაცნობა მათი იქნება უფრო ადვილი და მარტივი დ) ნაკლები ადგილი დაეთმობა პუბლიცისტიკას, ე) ერთი გეგმით შედგენა მოხსენებების პერიოდიულად აადვილებს მასალების დალაგებას და შესწავლას, ვ) მოხსენება არ იქნება გაბერილი არა საჭირო მასალების ჩართვით და სხ. ინსტრუქცია თუ არაა სრული, მაშინ მოხსენების შემადგენელს შეძლება აქვს თითონ დაუმატოს მისთვის საჭირო მუხლი ასე რომ ინსტრუქციის მიხედვით მოხსენებათა შედგენის წინააღმდეგ გალაშქრება შეუძლებელია. სამი თვის მოხსენებათა შედგენას ინსტდუქციის მიხედვით კიდევ ის პლიუსი აქვს, რომ მათი საშუალებით, ადვილდება წლიური, მთლიანი და ფართე ანგარიშების დამუშავება.

ამიტომ შ.ს.ს. კომისარიატს, აუცილებელ საჭიროებად მიაჩნია, რათა მაზრის აღმასკომები გზავნიდენ კომისარიატში მოხსენებათ **ყოველ სამ თვეში ერთხელ ინსტრუქციის ყველა მუხლის დაცვით.** დღეს მღმასკომის აპარატი იმდენად დახელოვნებული და და გამოცდილია, რომ არ გაუჭირდება დაცვა იმ მოთხოვნათა, რომელიც საჭიროდ მიაჩნია შ.ს.ს. კომისარიატს. ამით კიდევ უფრო დაახლოვდება ცენტრი და პროვინცია, კიდევ უფრო მეტი მასალა ექნება ორივეს საქმის გასაცნობად და სხვა და სხვა ზომების მისაღებად,

---

მაზრების აღმასკომებში.

მოკლე მიმოხილვა სამაზრო აღმასკომთა მოხსენების მიხედვით.

2. სენაკის მაზრა.

სენაკის მაზრის აღმასკომის შინამმართველობის განყოფილებამ 10 იანვრის თარიღით წარმოადგინა თავისი სამი თვის მოღვაწეობის ანგარიში. ეს ანგარიში შედგენილია შ.ს.სკ. ინსტრუქციის (ცირკ. № 900/6127) მიხედვით და შეიცავს კონსპექტიურ ცნობებს საქმიანი მუშაობის შესახებ.

შინაგან მმართვ. განყოფილება. საანგარიშო პერიოდში შინაგან მმართვ. განყოფილების. ყურადღება მიქცეული იყო იქითკენ, **რომ** გაეუმჯობესებინა მმართველი აპარატი და მილიციის ორგანოები—ადმინისტრატიულ დარგში მუდმივი სიმტკიცის დასაცავად. მის სამზრუნველო საგანს შეადგენდა აგრეთვე თემთა აღმასკნმებისა და მილიციის ორგანოთა ურთიერთშორისი და მათის სამაზრო აღმასკომთან დამოკიდებულებაში საჭირო ნორმალობის დაცვა და ურთიერთობის გამარტივება, ზომების მიღება შ.ს.ს.კ. და ცენტრალურ ორგანოებთან მჭიდრო კავშირის დასამყარებლად. გარდა ამისა, სწარმოებდა მეთვალყურეობა და კონტროლის გაწევა საბჭოთა ყველა ორგანოებისა და თანამდებობის პირებისადმი, მათი მუშაობა-მოქმედების დროს კანონიერების ფარგლების დაცვის საქმეში. აქ არ იგულისხმება ისეთი ორგანოები, რომლებიც უმეშვეოდ ემორჩილებიან ცენტრს.

მიღებულ იქმნა ყველა ღონისძიებანი მექრთამეობისა და ბოროტმოქმედებათა თავიდან ასაცილებლად, გადახალისდა მილიციის შემადგენლობა და მისი სარდლობა. გარდა ამისა—ქვემდებარე ორგანოებს გაეწია საჭირო კონტროლი, რათა თავის დროზე და სისტემატიურად ყოფილიყო ასრულებული ყველა ადმინისტრატიულ-საალმშენებლო ღო-

ნისძიებანი და მათგან გამომდინარე განკარგულებანი, რომელთაც გზავნიდენ, როგორც ცენტრალური ორგანოები, ისე სამაზრო აღმასკომის და ყველა ადგილობრივი სახელმწიფო ორგანოები,

ზემოაღნიშნულ მთავარ კითხვების მოსაგვარებლად გადადგმულ სისტემატიურ ნაბიჯ ებს სათანადო შედეგები მოჰყვა, რომლის წყალობითაც მრავალი მოსალოდნელი დეფექტი იქმნა აცილებული და საქმიანი მუშაობა სწორ კალაპოტში მიმდინარეობდა. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ საანგარიშო პერიოდში შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის განკარგულებით ქუთაისის მაზრიდან გამოიყო და სენაკის მაზრას შეუერთდა გულეიკარის თემი.

შინაგან მმართველობის განყოფილების პირადი შემადგენლობა ასეთია: განყ. გამგე თავმჯდომარის მოადგილე 1, საერთო და საინსტრ.-საინფ. ქვეგანყოფილების გამგე 1, ინსტრუქტორ ინფორმატორი 1, მმაჩის ქვეგანყ. მდივანი—1, საქმის მწარმოებელი—1, რეგისტრატორი—2, მემანქანე—2, სამნეო ნაწილის გამგე—1, ტელეფონზე მომუშავე—1, დარაჯი—2 სულ 14.

აღმასკომის პრეზიდიუმი. 1922 წლის განმავლობაში, დღიდან არჩევისა სამაზრო აღმასკომის პრეზიდიუმს ჰქონია 46 სხდომა, გარჩეულია 469 საკითხი. პლენუმს ჰქონია 45 სხდომა, გარჩეულია 294 საკითხი. ამ ხნის განმავლობაში პლენუმმა და პრეზიდიუმმა განსახილველად მიიღო და გაარჩია: თემის საბჭოებისაგან დასამტკიცებლად წარმოდგენილი ოქმები რიცხვით 174 აქედან დამტკიცებულია 148, უარყოფილია 26, განიხილა და დაამტკიცა აგრედვე 15-მდე სხვა და სხვა ადმინისტრატიული და საალმშენებლო ხასიათის გეგმა და პროექტი. ამ გადაწყვეტილ საკითხთა შედეგი ნათელჰყოფს მათ მიზანშეწონილობასა და ნაყოფიერებას.

ქვეგანყოფილებანი. ქვეგანყოფილებათადმი ხელმძღვანელობის გაწევა იმაში გამოიხატა, რომ თავიდანვე გაერთიანებულ იქმნა საერთო და საინსტრუქტორო-საინფორმაციო ქვეგანყოფილებანი და მას ერთი გამგე განაგებს. ქვეგანყოფილებათა ფუნქციების არევის მაგალითი არ ყოფილა. ტეხნიკურ მუშაობაში ყველა ქ. განყოფილებანი წარმოადგენენ მთლიან ერთეულს..

ქვეგანყოფილებათა მუშაობის მოკლე დახასიათება:

საერთო და საინსტრ. საინფორმაციო ქ. განყოფილება—ყოველკვირეულად აგზავნის შ.ს.ს. კომისარიატში და სრ. საქ. საბჭ. ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტში—შეკრებილ საინფორმაციო მასალებს, ადგილობრივ აქვეყნებს სასწრაფო ხასიათის დადგენილებებს და სხვ. ამ განყოფილებამ მოახდინა უცხო ქვეშევრდომთა და ინვალიდების აღრიცხვა და ცნობები წარუდგინა შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატს. შეასრულა 100-მდე სხვა და სხვა ხასიათის საქმე და საერთო მიმოწერა, ხელმძღვანელობა გაუწია და დახმარება აღმოაჩინა თემთა აღმასკომებს. მდივნებს და ტეხნიკურ მომუშავეებს—საქმის წარმოებაში საჭირო ქაღ. ფორმებისა და საკანცელარიო საგნების მიცემით—ეურნალი „მოამბე" მიღებისთანავე ეგზავნებათ თემებს და საბჭოთა დაწესებულებებს და სხვ

მმაჩის ქვეგანყოფილება—ასრულებს შემდეგ საქმეებს: დეკრეტში გათვალისწინებულ წესების მიხედვით ადგენს სათანადო ფორმის აქტებს—დაბადებულთა გარდაცვალებათა და ქორწინება—განქორწინების შესახებ. ამ პერიოდში რეგისტრაციის 47 შემთხვევა იყო აქედან: დაბადების—37, გარდაცვალების—1, ქორწინების—7, განქორწინების—1.

გამოცემულია რამოდენიმე ცირკულიარი ზოგიერთ პრაქტიკულ კითხვების მოსაგვარებლად. აგრედვე გაცემულია მრავალი მეტრიკული მოწმობა, მიმოხილვა და სხვ მმაჩის. ქვეგანყოფილებისა და მის ადგილობრივ ორგანოთა მუშაობას ძლიერ აფერხებს საჭირო წიგნების უქონლობა.

ინსტრუქტორი—აღმასკომთან ერთია, მაგრამ საჭიროების დროს აღმასკომს დახმარებას უწევენ სამაზრო და რაიონული პარტკომების ინსტრუქტორები მათი მუშაობა გამოიხატება უმთავრესად აღძრულ საჩივრების მიხედვით გამოძიების წარმოებასა და ინსტრუქტორობაში, რომელნიც ხელმძღვანელობენ საინფ. ქ. განყოფილებისაგან მიღებულ დირექტივებით. თემების ინსტრუქტორობაში მონაწილეობას იღებდენ აგრედვე სამაზრო აღმასკომის წევრებიც.

თემებისადმი ხელმძღსანელობა გამოიხატა—ცენტრალურ მთავრობის დეკრეტებისა და დადგენილებათა ცირკულიარების საშუალებით—აღსნა-განმარტებაში.

მაზრის ხელისუფლების ორგანოებში ადგილი არ ჰქონია უთანხმოებას.

აღმასკომსა, პარტკომსა და პოლიტ-ბიუროს დამოკიდებულება ნორმალურ ნიადაგზე სდგას.

შინაგან მმართველობის განყოფილება მონაწილეობას იღებს პრეზიდიუმის მიერ ადმინისტრატიული ხასიათის ბრძანების, ინსტრუქციებისა და ცირკულიარების შედგენა-გამოცემაში. ამღასკომის ქვემდებარე ორგანოთა დადგენილებისა და ბრძანების შეცვლა ან გაუქმება, განყოფილებას არ მოუთხოვია.

აღმასკომს და პრეზიდიუმს არ მოუხდენია ისეთი განკარგულება, რომელიც ეწინააღმდეგებოდეს ცენტრალურ ხელისუფლების ორგანოების დადგენილებას.

მაზრის აღმასკომის მმართვ. განყ. გამგეები შეცვლილ იქმნენ.

განყოფილების მუშაობა ამ ჟამად უნაკლოდ შეიძლება ჩაითვმლოს.

შ.ს.ს. კომისარიატთან კავშირის გასაუმჯობესებლად მმართვ. განყოფილებას საჭიროდ მიაჩნია, რომ კომისარიატმა დახმარება გაუწიოს აღმასკომს საჭირო ინსტრუქციების მოწოდებით და ინსტრუქტორების გზავნით, რათა კომისარიატი პერიოდულად ეცნობოდეს მაზრის საქმეებსა და მუშაობას.

მმართველობის განყოფილებამ მიიღო ზომები წარსულ წყალდიდობის დროს მცხოვრებთა სასწრაფო დახმარებისათვის, რაც გამოიხატა ნავების, საქმელის დასხვ. მიწოდებაში; იგი ხელს უწყობდა და ღებულობდა ადმინისტრატიულ ზომებს თესვის, სასურსათო და შინამშენებლობის კამპანიების ჩასატარებლად.

ეკლესიის განძეულობის აღწერა მოხდა პოლიტ-ბიუროს ინიციატივით.

1922 წ. სასურსათო გადასახადის აკრეფა მაზრაში 1 დეკემბრიდან მიმდინარეობდა. აკრეფილ გადასახადის მიღება გადაეცა კოოპერატივთა კავშირებს—სასურკომის ხელმძღვანელობით. მუშა-მოსამსახურეებს წესიერად ურიგდებათ კუთვნილი სურსათი. მიწის რეფორმების საბოლოოდ გასატარებლად სწარმოებდა საჭირო მასალების დამზადება.

გზები და ხიდები ყველგან შეკეთებულია სამაზრო აღმასკომის მიერ წარსულ შემოდგომაზე ჩატარებულ შინამშენებლობის კამპანიის დროს. ტელეფონების მდგომარეობა ცუდია, განსაკუთრებით ზოგიერთ ადგილებში საჭიროა მათი შეკეთება. სწარმოებს ხიდის კეთება მდ. ნასირალაზე და გროვდება მასალები მდ. ტარჩენსა და ცივზე ხიდების გასაკეთებლად. აღმასკომი იძენს საჭირო საგნებს ქ. სენაკში ელექტრონის სადგურის ასაგებად.

შესრულებულია სკოლების შენობების ინვენტარების, ნავთმთძრავი მანქანის დი საბჭოთა დაწესებულებების შენობათა კაპიტალური შეკეთება. აგრედვე შეკეთებულ იქმნა ხიდები, ქალაქში მოეწყო ახალი ყაფნები, და ერთი სასაკლაო, გაყვანილია ელექტრონის ხაზი, შეძენილია თეატრის დეკორაციები, ქალაქის მოედნებზე დადგმულ იქმნა ოთხი ბიუსტი და გაუმჯობესდა ქალაქის ბაღი. ნოქალაქევის თემში კეთდება საავადმყოფო, იქვე გაკეთდა ერთი ახალი ხიდი. მაზრის ყველა სკოლებში მოხდენილია რევიზია და უბნებში მოეწყო მასწავლებელთა კონფერენციები ახალი სკოლის პრინციპების შეთვისების მიზნით.

მილიცია ენერგიასა და უნარიანობას იჩენს ყაჩაღებთან ბრძოლაში. მაზრის მილიციის უფშემადგენლობა განისაზღვრება 22 კაცით.

საალმშენებლო ხასიათის მუშაობის საწარმოებლად—მაზრის მასშტაბით გამოყვანილია 1600 მუშა ხელი და 1500 ტვირთსაზიდავები. აბაშის რაიონში დამბის შესაკეთებლად გამოყვანილი იყო 300 მუშა ხელი და ამდენივე ტვირთსაზიდი. შრომისა და ტვირთზიდვის ხარკი წარმოებულ იქმნა შრომის სახ. კომისარიატის ნებართვით.

ჯანმრთელობის განყოფილებამ საანგარიშო პერიოდში თავის მუშაობა უმთავრესად მოანდომა წყალდიდობისაგან დაზარალებულ მცხოვრებთათვის წამლების მიწოდებას და სხვა პრაქტიკულ საქმიანობას.

მოხსენებას დართული აქვს ცხრილი შემოსულ და გასული ქაღალდებისა და სათანადო განყოფილებათაგან გამოცემულ დადგენილებათა, ცირკულიარებისა და სხვა, ცხრილის მიხედვით შემოსული ქაღალდების რიცხვი უდრის 8051, გასული 3462-ს; ინსტრუქციებისა, დადგენილებათა, ბრძანებათა და სხვ. რიცხვი უდრის 281-ს. წარმოდგენილია აგრედვე მაზრაში მომხდარ ცუდ შემთხვევათა ნუსხა და სხვ.

საერთოდ, მოხსენება შედგენილია საქმიანად და იძლევა საერთო, ნაყოფიერი მუშაობის მთლიან სურათის.

განცხადებანი.

თანახმად § 68 მუხ. დეკრეტის № 28 საქართველოს რევოლიუციონურ კომიტეტის სამმართველოს განყოფილების 1921 წ. 28 აპრ. ქ. ტფილისის აღმასკომის მოქმედ. მდგომარეობის აქტების ჩამწერი მაგიდა აცხადებს რომ მოქალაქემ მოსე იაკობის-ძე ფიდატოვმა შემოიტანა განცხადება მისი სახელი მოსე იაკობის-ძე ფიდატოვი ალექსი იაკობის-ძე ფიდატოვზედ შეცვლის შესახებ.

თანახმად § 68 მუხ. დეკრეტისა № 28 საქართველ. რევოლ. კომიტეტის სამმართველოს განყოფილების 1921 წ. 28 აპრილის ქ. ტფილისის აღმასკომ. მოქ. მდგომარეობის აქტების ჩამწერი მაგიდა აცხადებს, რომ მოქ. ადამ ვეტრეს-ძე ადადაკამ შემოიტანა განცხადება მისი გვარის ადადაკა იეგგენი ონეგინდზედ შეცვლის შესახებ.

არაპირდაპირ გადასახადთა განყოფილება აცხადებს, რომ ღვინის გადასატანი მოწმობა 14 მარტიდგან 1923 წლის № 437 დაკარგულია და ჩაითვალოს გაბათილებულად.

დუშეთის სახალხო მოსამართლე იწვევს 1922 წ. სოფ. დუდაუთკარში გარდაცვლილ დუშეთის მოქალაქის ნიკოლოზ გაბრიელის ძის დუდაურის მემკვიდრეებს, რათა კანონით დაწესებული დროის განმავლობაში მათ განაცხადონ თავიანთი უფლება ნიკ. დუდაურის სიკვდილის შემდეგ დატოვებულ მემკვიდრეობაზე.

დუშ. სახ. მოსამართლე კოტრინთელი.

დაკარგულია მდგმურთა ჩასაწერი სახლის დავთარი № 15, მოცემული. მე-11 უბნის მილიციისაგან 1922 წელს შალიკო სანოს ძე მეტრეველის სახელობაზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

დაკარგა მეტრიკული ამონაწერი № 3381 მიღებული 1920 წ. სინოდ. კონტორიდან ოსეს სვამ. ბუაძის სახელზე. გაუქმებულია.

დაკარგა მეტრიკული ამონაწერი № 1229 მიღებული 1013 წ. სინოდალური კონტორიდან ალექსი ბავდეს ძე ერუმლავსკის სახელზე. გაუქმებულია.

ᲓᲐᲘᲙᲐᲠᲒᲐ მეტრიკული ამონაწერი № 2997 მიღებული 1903 წ. სომ. კონსისტორიიდან ლევან ბეგლარის ძე ამირბეგოვის სახელზე. გაუქმებულია.

ᲓᲐᲘᲙᲐᲠᲒᲐ მეტრიკული ამონაწერი № 1372 მიღებული 1911 წელს სინოდალური კონტორიდან გიორგი ქრისტეფორეს ძე ქსენოფონტოვის სახელზე. გაუქმებულია.

ᲓᲐᲘᲙᲐᲠᲒᲐ მეტრიკული ამონაწერი № 457 მიღებული 1897 სინოდალური კონტორიდან ზაქარია ნიკოლოზის ძე ჯაფარიძის სახელზე. გაუქმებულია.

ᲓᲐᲘᲙᲐᲠᲒᲐ მეტრიკული ამონაწერი № 1360 მიღებული 1911 წ სინოდ. კონტორადან ნინო ივანეს ასულ ნებიერიძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

ᲓᲐᲘᲙᲐᲠᲒᲐ მეტრიკული ამონაწ. № 466 მიღებული 1911 წ. სომეხთა კონსისტორიიდან ნიკ მურადის ძე ოგნეზოვის სახელზე ჩაითვალოს გაუქმებულად.

ᲓᲐᲘᲙᲐᲠᲒᲐ მეტრიკული ამონაწერი, № 9 მიღებული 1918 წ. სინოდ. კონტორიდან მელანია ვასილის ასულ ზუბკოვის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

ᲓᲐᲘᲙᲐᲠᲒᲐ მეტრიკული ამონაწერი № 1084 მიღებული 1906 წ. სინოდ. კონტ. იოსებ სულხანის ძე სულხანიშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

ᲓᲐᲘᲙᲐᲠᲒᲐ მეტრიკული ამონაწერი № 619 მიღებული 1892 წ. სოხუმის ალექსანდრე ნეველის ეკლ. მარიამ ლუკას ასული თოფურიძის სახელზე. გეუქმებულია.

ᲓᲐᲕᲙᲐᲠᲒᲔ პირადობის მოწმობა გაცემული რკინისგზის მთავარ სახელოსნოდან ვერა ნიკოლოზის ასულ კოტრიკაძის სახელზედ ჩაითვალოს გაუქმებულად.



ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ

მე-52-ე №-ში მოთავსებული მასალებისა:

ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲬᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ.

ᲪᲔᲜᲢᲠ. ᲐᲓᲛᲘᲡᲠ. ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘ.

1) **დადგენილება**—მაგარი სასმელების წარმოებისა და გაყიდვის და თამბაქოს ნაკეთებისა და ფოთოლ-თამბაქოს ვაჭრობის საპატენტო გადასახადის რაოდენობის შესახებ.

ᲡᲐᲮ. ᲙᲝᲛᲘᲡᲐᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝ.

2) **დეკრეტი**—ზოგიერთი საზღვარგარეთ მყოფი პირისათვის მოქალაქეობის უფლების ჩამორთმევის შესახებ.

3 **დადგ.** № 48 სატარიფო განაკვეთის რაოდენობის შესახებ სოციალური დაზღვევისათვის.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕ. ᲪᲔᲜᲢᲠ. ᲐᲓᲛᲘᲡᲠᲣᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘ.

4) **დებულება**—ქალაქებში მიწათ-მოქმედების შესახებ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲮ. ᲙᲝᲛᲘᲡᲐᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝ.

5) **დადგენილებანი** № № 94, 95, 96.

6) **დეკრეტი** 1921—1922 წ. სასურსათო გადასახადის ნარჩენის გადახდევინების მოსპობის შესახებ.

ᲨᲘᲜᲐᲒᲐᲜ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲐᲠᲘᲐᲢᲘ.

7) **ცირკულიარები** (6 ცირკ.).

8) **ბრძანება** № 1316.

ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲐᲠᲘᲐᲢᲘ.

9) **დადგენილებანი** № № 13, 14.

ᲐᲠᲐᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲬᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ.

1) მეთაური წერილი.

2) მოხსენება სენაკის მაზრის აღმასკ. შინამმართველობის.



მთავსამლიტგამ № 345 ს. მ. უ. ს. პოლიგრგანყ. მე-3 სტამბა № 1048—ტირაჟი 2.000